თამარ ორჯონიკიძე •

1924 წლის აჯანყება ისტორიის სასკოლო სახელმძღვანელოებში (1991-2022) ••

აბსტრაქტი

1924 წლის აჯანყების შესახებ საბჭოთა პერიოდის საქართველოში ბევრი არ იწერებოდა, აღნიშნული მოხსენებული იყო როგორც „მენშევიკური ავანტურა“. აჯანყების ნამდვილი ისტორიის შესახებ საუბარი დიდწილად დამოუკიდებლობის აღდგენის შემდეგ დაიწყო და სასკოლო სახელმძღვანელოებშიც ამ პერიოდიდან გაჩნდა შესაბამისი მასალები. მოხსენების მიზანია, შევისწავლოთ, რა ინფორმაციას აწვდის მკითხველს 1991 წლის შემდეგ გამოცემული სახელმძღვანელოები 1924 წლის აჯანყების შესახებ. ნაშრომი ეყრდნობა საქართველოს დამოუკიდებლობის აღდგენის შემდგომ გამოცემული საქართველოსა და მსოფლიო ისტორიის სასკოლო სახელმძღვანელოების შინაარსობრივ ანალიზს. ყურადღება გამახვილებულია მასალის მოცულობასა და წარმოდგენილ დოკუმენტებზე. გამოყოფილია ის ძირითადი ფაქტები, რასაც სახელმძღვანელოთა ავტორები განსაკუთრებულ ყურადღებას უთმობენ აღნიშნული საკითხის განხილვისას.

საკვანძო სიტყვები: საქართველო; სასკოლო სახელმძღვანელოები; 1924 წლის აჯანყება.

• ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის სოციალურ და პოლიტიკურ მეცნიერებათა ფაკულტეტის პოლიტიკის მიმართულების დოქტორანტი, ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის პოლიტოლოგიის ინსტიტუტის ასისტენტ-მკვლევარი

•• მოხსენება 2022 წლის 24 ნოემბერს ჩატარებულ მე-2 სამეცნიერო კონფერენციაზე „პოლიტიკური მეცნიერება საქართველოში: მიღწევები, პრობლემები, პერსპექტივები“.

1924 წლის აჯანყება საბჭოთა პერიოდის სახელმძღვანელოებში

ნ. ბერძენიშვილის რედაქტორობით 1961 წელს გამოცემული *საქართველოს ისტორია* 1924 წლის აჯანყებას სამ აბზაცს უთმობს და შემდეგნაირად აღწერს: „ქართველმა მენშევიკებმა, ეროვნულ-დემოკრატებმა, სოციალისტ-ფედერალისტებმა და სხვა ანტისაბჭოთა პარტიებმა ბლოკი შეკრეს საბჭოთა ხელისუფლების წინააღმდეგ აჯანყების მოსაწყობად. თავიანთი საზღვარგარეთელი ცენტრების საშუალებით დაუკავშირდნენ უცხოელ იმპერიალისტებს და მიიღეს მათგან ფული და დაპირება აჯანყების შემთხვევაში იარაღითა და სამხედრო ძალებით დახმარების შესახებ“*(საქართველოს ისტორია.* ნ. ბერძენიშვილის რედაქციით, 1961 წ. გვ. 355).

„მენშევიკურ ავანტურას“ უწოდებს და „ეკონომიკური ხასიათის ზოგიერთი სირთულეებით“ ხსნის მოცემული სახელმძღვანელო აჯანყებას; გვაწვდის ასევე ინფორმაციას აჯანყების მონაწილეთა შესახებაც: „ქართველი ხალხის მოღალატეებმა ისარგებლეს სოფლად პარტიულ-პოლიტიკური მუშაობის სისუსტით, ეკონომიკური ხასიათის ზოგიერთი სიძნელეებით და 1924 წლის აგვისტოში მოაწყეს კონტრრევოლუციური გამოსვლები სენაკის, ოზურგეთის, შორაპნის, თბილისისა და ზოგიერთ სხვა მაზრებში. საბჭოთა ხელისუფლების წინააღმდეგ იარაღით ხელში გამოვიდნენ კულაკები, ყოფილი თავადაზნაურები, მეფის და მეწშევიკების ყოფილი მოხელეები, ვაჭრები, ხუცები, სისხლის სამართლის დამნაშავეები. ანტისაბჭოთა პარტიებმა თავიანთ ბინძურ საქმიანობაში ჩაითრიეს გლეხობის უმნიშვნელო ნაწილიც. მუშათა კლასი, უღარიბესი და საშუალო გლეხობა მტრულად შეხვდა ანტისაბჭოთა პარტიების მიერ მოწყობილ კონტრრევოლუციურ გამოსვლებს. ამიტომ იგი წმინდა წყლის ავანტიურად იქცა. მენშევიკური ავანტიურის წინააღმდეგ თავდადებული ბრძოლისათვის ფოთის მუშებს რკპ(ბ) ამიერკავკასიის სამხარეო კომიტეტმა ჯილდოდ გადასცა საბრძოლო იარაღი

და წითელი დროშა“*(საქართველოს ისტორია.* ბერძენიშვილის რედაქციით, 1961 წ. გვ. 355).

აჯანყების შემდგომ განვითარებულ მოვლენებზე კი სახელმძღვანელო შემდეგ ინფორმაციას აწვდიდა მკითხველს: „მაზრებში, სადაც მენშევიკებმა რამდენიმე დღით ჩაიგდეს ხელში ძალაუფლება, დაიწყეს მიწაზე თავადაზნაურულ-მემამულური კერძო საკუთრების აღდგენა, სოციალისტური რევოლუციის ყველა მონაპოვრის წართმევა გლეხობისთვის. მაგრამ მენშევიკებსა და სხვა კონტრრევოლუციურ პარტიებს დიდხანს არ დასცალდათ პარპაში. ქართულმა წითელმა არმიამ ყველა მშრომელის აქტიური მხარდაჭერით ალაგმა კონტრრევოლუციონერთა გამოსვლები“*(საქართველოს ისტორია.* ბერძენიშვილის რედაქციით, 1961 წ. გვ. 355).

საბჭოთა პერიოდის კიდევ ერთი სახელმძღვანელო, რომელიც 1924 წლის აჯანყებაზე გვაწვდის ინფორმაციას, არის მესხიასა და გუჩუას ავტორობით, 1968 წელს გამოქვეყნებული *საქართველოს ისტორია* (მესხია. შ., გუჩუა. ვ., 1968). წინა, ჩვენს მიერ განხილული სახელმძღვანელოსაგან განსხვავებით, გაცილებით ნაკლები ადგილს უთმობენ ავტორები ჩვენთვის საინტერესო საკითხის განხილვას, თუმცა აჯანყების ორგანიზატორთა „უცხოელ იმპერიალისტებთან კავშირი“ ამ შემთხვევაშიც ხაზგასმულია: „1924 წლის აგვისტოში მენშევიკებმა და სხვა ანტისაბჭოთა ელემენტებმა, რომლებიც უცხოელ იმპერიალისტებთან იყვნენ დაკავშირებულნი, მემამულურ და ბურჟუაზიულ-კულაკურ ფენებზე დაყრდნობით, საქართველოს ზოგიერთ რაიონში აჯანყება მოაწყეს საბჭოთა ხელისუფლების დამხობის მიზნით. მტრების მიერ მოწყობილი ეს ავანტიურა საქართველოს წითელმა არმიამ, მშრომელთა მხარდაჭერით, სწრაფად ჩააქრო“ (მესხია. შ., გუჩუა. ვ., 1968).

მოცემულ სახელმძღვანელოშიცაა ინფორმაცია აჯანყების ჩახშობის შემდეგ განვითარებულ მოვლენებზე: „ანტიპარტიული და კონტრრევოლუციური ძალების განადგურებამ კიდევ უფრო განამ-

ტკიცა მუშათა და გლეხთა კავშირი და აამაღლა მათი შრომითი აქ-ტივობა, რამაც უზრუნველყო სახალხო მეურნეობის აღდგენის ძი-რითადად დამთავრება 1925-1926 სამეურნეო წლისათვის“ (მესხია. შ, გუჩუა. ვ, , 1968).

1924 წლის აჯანყება დამოუკიდებლობის აღდგენის შემდეგ გამოცე-მულ სასკოლო სახელმძღვანელოებში

2002 წელს ფარნაოზ ლომაშვილის ავტორობით გამოცემული მეთერთმეტე კლასისათვის განკუთვნილი *„საქართველოს ისტორია 1801-2001“,* არამხოლოდ აღწერს 1924 წლის აჯანყებას, არამედ აჯან-ყების ჩახშობის შემდგომ განვითარებულ მოვლენებზეც გვაწვდის ინფორმაციას. ლომაშვილი იმ რეპრესიებზე წერს, რომელიც საბჭო-თა ხელისუფლებამ თავს დაატეხა მოსახლეობას: „მარტო აჯანყების დღეებში მოკლეს ან დახვრიტეს 4000 კაცი. თვით იარაღაყრილებსა და შემორიგებულებსაც აღარ ინდობდნენ...კრწანისის ტრაგედიის შემდეგ ქართველ ხალხს ასეთი სისხლიანი დღეები არ დასდგომია“ (ლომაშვილი, 2002, გვ. 64). სახელმძღვანელოში სწორედ ამ რეპრე-სიებთან დაკავშირებით მოყვანილია დოკუმენტებიდან ამონარიდე-ბი. ავტორი გვაცნობს ბოლშევიკ ხელისუფალთა შორის მიმოწერას, სადაც ჩანს არამხოლოდ ცენტრის (მოსკოვის), არამედ ადგილობრი-ვი კომუნისტების (ამიერკავასიის სამხარეო კომიტეტი) დამოკიდე-ბულებააჯანყებისადმი. საგულისხმოა, რომ საბჭოთა ხელმძღვანე-ლობა მიუხედავად იმისა, რომ ითხოვდა აჯანყების დაუყოვნებლივ ჩახშობას, ამავდროულად „კატეგორიულად უარყოფს პატიმართა მასობრივად დახვრეტის პოლიტიკას. ცენტრალური კომიტეტი მო-ითხოვს ამიერკავკასიის ჩეკას გადაწყვეტილებით დაუყოვნებლივ შეჩერდეს მიმდინარე დახვრეტები“ (ლომაშვილი, 2002, გვ. 67). სა-ხელმძღვანელოში მოტანილია პასუხიც აღნიშნულ დადგენილება-ზე - სერგო ორჯონიკიძე (ამიერკავკასიის სახმარეო კომიტეტის ხელმძღვანელის)აღიარებს, რომ საქართველოში შემოსვლისას

„თითქმის მთელი მოსახლეობა... ჩვენს წინააღმდეგ იყო“. ამავე პასუხით შეგვიძლია ვიმსჯელოთ ქართველი ბოლშევიკების დამოკიდებულებაზე 1924 წლის აჯანყების მიმართ. ორჯონიკიძე შემდეგნაირად ახასიათებს ანტისაბჭოთა პროცესს: „აჯანყება წამოიწყეს „დამოუკიდებელი საქართველოს“ დროშით, „რუსების განდევნისა“ და „რუსული უღლისაგან განთავისუფლების“ ლოზუნგებით...“ (ლომაშვილი, 2002, გვ. 67). ორჯონიკიძის მიერ მოყვანილი ლოზუნგები იძლევა იმის თქმის საფუძველს, რომ საქართველოს მოსახლეობა არ აპირებდა თავისუფლების უბრძოლველად დათმობას და ბოლშევიკებსუჭირდათ ძალაუფლების განმტკიცება საქართველოში. ბოლშევიკების სისასტიკეზე მეტყველებს ზემოთმოყვანილი მოხსენებიდან კიდევ ერთი ამონარიდი: „მივმართეთ მასობრივ დახვრეტებს. შეიძლება ცოტა მეტი მოგვივიდა, მაგრამ ახლა ამას აღარაფერი ეშველება“ (ლომაშვილი, 2002, გვ. 67).

გასაბჭოებული საქართველო უბრძოლველად რომ არ აპირებდა დამოუკიდებლობის დათმობას, კარგად ჩანს 2005 წელს ვაჩნაძისა და გურულის ავტორობით გამოცემულ მეთერთმეტე კლასის სახელმძღვანელოში (ვაჩნაძე მ., გურული ვ., 2005). ავტორები საქართველოში გასაბჭოებისთანავე განვითარებულ მოვლენებს აღწერენ - „ქართველი ერი არ შერიგებია სახელმწიფოებრივი დამოუკიდებლობის დაკარგვას. თავსდამტყდარი დიდი ტრაგედიიდან ხალხი მალე გამოერკვა და დაიწყო ბრძოლა საოკუპაციო რეჟიმის წინააღმდეგ“ (ვაჩნაძე მ., გურული ვ., 2005, გვ. 109). კონკრეტულად 1924 წლის აჯანყებაზე საუბრისას კი ავტორები ხაზს უსვამენ იმას, რომ საქართველოს მთელ ტერიტორიაზე იყო გავრცელებული შეიარაღებული გამოსვლები - „სამი დღის განმავლობაში მიმდინარეობდა ბრძოლები აჯანყებულთა და დამსჯელ ექსპედიციებს შორის“ (ვაჩნაძე მ., გურული ვ., 2005, გვ. 111). საბჭოთა ხელისუფლების განსაკუთრებულ სისასტიკეზე მოცემული სახელმძღვანელოს ავტორებიც ამახვილებენ ყურადღებას, გამოჰყოფენ სადგურ ყვირილასთან

ვაგონებში დახვრეტილ ადამიანებს. მნიშვნელოვანია ასევე, რომ ავტორები 1924 წლის აჯანყებას განიხილავენ, როგორც „1921 წლიდან დაწყებული ეროვნული მოძრაობის კანონზომიერ შედეგს“, - „აჯანყებამ, რომელსაც მრავალი ქართველი პატრიოტი შეეწირა, ცხადად გვიჩვენა, რომ ქართველი ერი არ შეეგუა სახელმწიფოებრივი დამოუკიდებლობის დაკარგვას და ბრძოლით აპირებდა თავისუფლების მოპოვებას“ (ვაჩნაძე მ., გურული ვ., 2005, გვ. 111). აქვე აღსანიშნავია ისიც, რომ ავტორთათვის 1924 წლის აჯანყება იმითაცაა მნიშვნელოვანი, რომ იგი „იდეურ საზრდოს აძლევდა შემდგომი ეპოქის ეროვნულ მოძრაობას“ (ვაჩნაძე მ., გურული ვ., 2005, გვ. 111).

1924 წლის აჯანყებამ რომ მთელი საქართველო მოიცვა, ხაზს უსვამს 2008 წელს გამოქვეყნებული, მეცხრე კლასის სახელმძღვანელო *საქართველოს ისტორია* (მალაზონია დ., კვიტაიშვილი ნ., მალაზონია თ. , 2008). ავტორები განსაკუთრებულ ყურადღებას ასევე ამახვილებენ რეპრესიებზე, რომელიც აჯანყებულებს თავს დაატეხა საბჭოთა ხელისუფლებამ. ასევე მნიშვნელოვანია ის ამონარიდი, რასაც ავტორები მოიხმობენ იმის დასადასტურებლად, რომ „აჯანყების დამარცხებამ და ხელისუფლების მხრიდან სასტიკმა ანგარიშსწორებამ საქართველოს მოსახლეობაში მაინც ვერ ჩაკლა პატრიოტული სულისკვეთება“ - სახელმძღვანელოში მოტანილია ნაწყვეტი აჯანყების მონაწილის, ზალდასტანიშვილის მოგონებიდან, სადაც ის გურულ მასწავლებელთან შეხვედრას აღწერს: „გურიიდან მასწავლებელი ქალი ჩამოვიდა, დაწვრილებით აღწერა იქაური ამბები. ბოლოს ჩემი მეგობარი შეეკითხა: ალბათ ხალხს გული გაუტყდა აჯანყების დამარცხების გამო! - რასა ბრძანებთ? მთელი გურია იმას გაიძახის, - ერთი კვირა ხომ მაინც თავისუფლად ამოვისუნთქეთო, რა ვუყოთ რომ პირველი აჯანყება სუსტი გამოდგაო!... ამნაირი მაგალითები ბევრი იყო“ (მალაზონია დ., კვიტაიშვილი ნ., მალაზონია თ., 2008, გვ. 302). ამის გათვალისწინებით, შესაძლებელია არამხოლოდ 1920-იანი წლების საქართველოში არსებული ძლიერი

ანტისაბჭოთა განწყობის შესახებ საუბარი, ასევე იმის აღნიშვნაც, რომ აჯანყების ჩახშობის და მის ორგანიზატორთა და მონაწილეთა მიმართ გატარებული უსასტიკესი რეპრესიების მიუხედავად, საქართველოს მოსახლეობა კომუნისტურ ხელისუფლებას და თავისუფლების დაკარგვას, არ ურიგდებოდა.

1924 წლის აჯანყებაზე კიდევ ერთი, მეთორმეტე კლასის სახელმძღვანელო, 2012 წელს ავტორთა ჯგუფის მიერ გამოცემული *ისტორია* გვაწვდის ინფორმაციას (აბდალაძე გ , კუპატაძე ბ., ახმეტელი ნ., მურღულია ნ., 2012). აქაც განსაკუთრებული ყურადღება გამახვილებულია საბჭოთა ხელისუფლების მიერ აჯანყების ორგანიზატორთა თუ მხარდამჭერთა მიმართ გატარებულ რეპრესიულ პოლიტიკაზე: „აჯანყების მონაწილეებს და მათ ხელშეწყობაში ეჭვმიტანილთ ყოველგვარი გამოძებისა და გასამართლების გარეშე ხვრეტდნენ“ (აბდალაძე გ., კუპატაძე ბ., ახმეტელი ნ., მურღულია ნ., 2012, გვ. 164).

1920-იანი წლების ეროვნულ მოძრაობაზე კიდევ ერთი სახელმძღვანელო, 2012 წელს გამოცემული მეთორმეტე კლასისათვის განკუთვნილი *ისტორია* აწვდის მოსწავლეებს ინფორმაციას (კიღურაძე ნ., გაჩეჩილაძე რ., სანიკიძე გ., 2012). საქართველოს მოსახლეობის განწყობაზე საბჭოთა ხელისუფლების მიმართ აღნიშნულ სახელმძღვანელოშიცაა საუბარი - „საქართველოს მოსახლეობა არ ურიგდებოდა კომუნისტური ხელისუფლების ბატონობას“. არამხოლოდ მოსახლეობის, არამედ პოლიტიკური ელიტის ანტისაბჭოთა განწყობას გამოხატავს ასევე ავტორთა მიერ განსაკუთრებით ხაზგასმული „საქართველოს დამოუკიდებლობის კომიტეტი“, რომელშიც სხვადასხვა პარტია, „მათ შორის წარსულში ურთიერთდაპირისპირებულიც, გაერთიანდა“ (კიღურაძე. ნ, გაჩეჩილაძე. რ, სანიკიძე. გ., 2012, გვ. 243). ამავე საკითხის (ანტისაბჭოთა განწყობის) გაგრძელებად შეგვიძლია მივიჩნიოთ აქვე მოყვანილი, იოსებ სტალინის მიერ აჯანყების მომზადების შესახებ ინფორმაციის მიღებისას წა-

მოთქმული შემდეგი ფრაზა: „დაე, აჯანყდნენ! საქართველოს სისხლი ჯერ არ გამოუშვია!“ (კიღურაძე ნ., გაჩეჩილაძე რ., სანიკიძე გ., 2012, გვ. 243).

სახელმძღვანელოში განსაკუთრებული ყურადღებაა გამახვილებული 1924 წლის აჯანყების ჩახშობის შემდგომ განვითარებულ მოვლენებზე და განსაკუთრებული სისასტიკით გატარებულ რეპრესიებზე „ქართველი ერისათვის ჭკუის სასწავლებლად“, ასევე „კლასობრივი მტრის“ დასასჯელად. ავტორებს მოჰყავთ გაზეთ „კომუნისტის“ 1924 წლის 31 აგვისტოს ნომერში გამოქვეყნებული საქართველოს საგანგებო კომისიის განცხადებიდან ნაწყვეტი: „მენშევიკურმა ბანდიტებმა თავადებთან, აზნაურებთან, გენერლებთან და ვაჭრებთან ერთად მოახდინეს შეიარაღებული გამოსვლები...ამიტომ საქართველოს საგანგებო კომისია ადგენს, ყველა ჩამოთვლილი პირები, როგორც პროლეტარიატის წინააღმდეგ აჯანყების მომწყობნი და როგორც მუშურ-გლეხური ხელისუფლების შეურიგებელი მტრები, დასჯილნი იქნან უმაღლესი სასჯელით - დახვრეტით“ (კიღურაძე ნ., გაჩეჩილაძე რ., სანიკიძე გ., 2012, გვ. 245).

2020 წელს გამოქვეყნებული მეცხრე კლასის სახელმძღვანელო, *ისტორია* (ახმეტელი ნ., ლოთქიფანიძე ბ., ფირცხალავა ნ., 2020) 1924 წლის აჯანყების მიმდინარეობის განხილვის შემდეგ, განსაკუთრებულ ყურადღებას ამახვილებს „11 დახვრეტილ ქართველ პარლამენტარზე“ და იმ რეპრესიებზე, რომლითაც ბოლშევიკები აჯანყების ჩახშობისას გაუსწორდნენ მოსახლეობას - „საბჭოთა რეპრესიების კიდევ ერთმა სასტიკმა ტალღამ გადაუარა მთელ საქართველოს. ბრძოლებსა და ხელისუფლების რეპრესიებს 4000-მდე ადამიანი შეეწირა“ (ახმეტელი ნ., ლოთქიფანიძე ბ., ფირცხალავა ნ., 2020, გვ. 276).

იმის შესახებ, რომ საქართველოს მოსახლეობა არ შეგუებია ბოლშევიკთა მმართველობას მოგვითხრობს კიდევ ერთი სახელმძღვანელო - 2021 წელს გამოქვეყნებული, მეცხრე კლასის *საქარ-*

თველოსა და მსოფლიოს ისტორია (სურგულაძე მ., კეკელია ვ., ლაბაძე რ., მურუსიძე შ., ქურთუბაძე მ., 2001). ავტორები 1922 წელს შექმნილ პოლიტიკური პარტიების გაერთიანება, საქართველოს დამოუკიდებლობის კომიტეტზე (დამკომი) წერენ, ამონარიდები მოჰყავთ დამკომის წევრთა სასამართლო პროცესებზე ბრალდებულთა მიერ წარმოთქმული სიტყვიდან, საიდანაც მათ დამოკიდებულების შესახებ შეგვიძლია ვიმსჯელოთ ბოლშევიკური ხელისუფლების მიმართ. საქართველოს სოციალ-დემოკრატიული პარტიის წევრის, კოტე ანდრონიკაშვილი თავის სიტყვაში 1925 წლის ივლისში გამართულ სასამართლოზე მიუთითებდა ბოლშევიკთა მიერ საქართველოსთვის დამოუკიდებლობის წართმევასა და მათ მიერ გატარებული რეპრესიების შესახებ. ასევე განმარტებულია დამოუკიდებლობის კომიტეტის შექმნის მიზეზები და ხაზგასმულია, რომ „როდესაც ისინი დარწმუნდნენ, რომ საბჭოთა ხელისუფლებას საქართველო დაღუპვისაკენ მიჰყავდა, დაებადათ იდეა მთლიანი ფრონტის შექმნისა საქართელოს დამოუკიდებლობის აღსადგენად“ (სურგულაძე მ., კეკელია ვ., ლაბაძე რ., მურუსიძე შ., ქურთუბაძე მ., 2001, გვ. 44). ამავე სახელმძღვანელოში ვხვდებით ჩვენს მიერ უკვე ნახსენებ სერგო ორჯონიკიძის მიერ მოსკოვში გაგზავნილ ახსნა-განმარტებას, სადაც ის აჯანყების ლოზუნგებზე აწვდის ინფორმაციას მოსკოვს და აჯანყების ჩახშობის შემდეგ გატარებულ რეპრესიებზე, როგორც „ცოტა გადაჭარბებაზე“, ისე საუბრობს (სურგულაძე მ., კეკელია ვ., ლაბაძე რ., მურუსიძე შ., ქურთუბაძე მ., 2001, გვ. 46).

დასკვნა

მოხსენებაში განხილულ ყველა სახელმძღვანელოში გამოყოფილია 1924 წლის აჯანყების მიზეზები - საქართველოს მოსახლეობა არ შეჰგუებია საბჭოთა ხელისუფლების მმართველობას და იბრძოდა დაკარგული თავისუფლების დაბრუნებისათვის. ხშირ შემთხვევაში სხვადასხვა დოკუმენტია წარმოდგენილი სახელმძღვანელოებში; ავტორები აჯანყების ორგანიზატორთა თუ მხარდამჭერთა შესახებ სხვადასხვა სახის ინფორმაციას აწვდიან მოსწავლეებს. განსაკუთრებულ ყურადღებას კი ამახვილებენ რეპრესიებზე, რომელიც საბჭოთა ხელისუფლებამ მის წინააღმდეგ მებრძოლებს დაატეხა თავს. ზოგიერთი სახელმძღვანელო ასევე 1924 წლის აჯანყებას განიხილავს, როგორც მომდევნო პერიოდში ჩამოყალიბებული ეროვნული მოძრაობის „იდეურ საზრდოს“.

გამოყენებული ლიტერატურა

აბდალაძე გ,, კუპატაძე ბ., ახმეტელი ნ., მურღულია ნ., (2012). *ისტორია.* თბილისი: "დიოგენე".

ახმეტელი ნ., ლოთქიფანიძე ბ., ფირცხალავა ნ., (2020). *ისტორია.* თბილისი: "დიოგენე".

ვაჩნაძე მ., გურული ვ., (2005). *საქართველოსისტორია.* თბილისი: "არტანუჯი".

კიღურაძე ნ., გაჩეჩილაძე რ., სანიკიძე გ., (2012). *ისტორია.* თბილისი: ბაკურ სულაკაურის გამომცემლობა.

ლომაშვილი ფ. (2002). *საქართველოს ისტორია 1801-2001.* თბილისი: "ცისარტყელა".

მალაზონია დ., კვიტაიშვილი ნ., მალაზონია თ., (2008). *საქართველოს ისტორია* . თბილისი: „ქართული ბიოგრაფიული ცენტრი“.

მესხია შ., გუჩუა ვ., (1968). *საქართველოს ისტორია.* თბილისი: "განათლება".

საქართველოს ისტორია. სახელმძღვანელო VIII-X კლასებისთვის. (1961) ნ. ბერძენიშვილის რედაქციით. მესამე გამოცემა. თბილისი. "ცოდნა".

სურგულაძე მ., კეკელია ვ., ლაბაძე რ., მურუსიძე შ., ქურთუბაძე მ., (2001). *საქართველოსა და მსოფლიოს ისტორია.* თბილისი: ლოგოს-პრესი.

ჯანელიძე ო., თაბუაშვილი ა., თავაძე ლ., ირემაშვილი ნ., (2012). *საქართველოს ისტორია.* თბილისი. გამომცემლობა „კლიო“.

Tamar Orjonikidze

The 1924 Uprising in Secondary Education Textbooks (1991-2022)

abstract

Not much was written about the 1924 uprising in Georgia during the Soviet period. This was reported as a "Menshevik adventure". Talking about the true history of the rebellion largely started after the restoration of independence, and relevant materials appeared in school textbooks from this period as well.The report is based on the content analysis of school history textbooks published after the restoration of independence of Georgia. Attention is focused on the volume of material and presented documents. The main facts are highlighted - about what the authors of the textbooks pay special attention when discussing the mentioned issue.

Keywords: Georgia; History textbooks; The 1924 Uprising.